

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ. თბილისი

27 მარტი 2015 წ.

შესყიდვის საგანი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ქ. ზუგდიდში, დემურის ქ. N1-ში მდებარე შენობის (საკ.კოდები: N43.31.42.192.01.502; N43.31.42.192.01.507; N43.31.42.192.01.509; N43.31.42.192.504) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1483) საშუალებით.

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

- გრიგოლ გიორგაძე

საკონკურსო კომისიის წევრები:

- შოთა რეხვიაშვილი

- გვანცა შენგელია

- ირაკლი დიხამინჯია

- ბესარიონ ბუჩუკური

- კახაბერ პეტრიაშვილი

- მურად აბლოთია

- კახაბერ ჩხარტიშვილი

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

- ნოდარ ყოჩიშვილი

- გიორგი კვეციშვილი

- ნინო მენტეშაშვილი

- მაიკო მიქაია

კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები - მამუკა ცოტნიაშვილი, გოგი ფაცაცია და კომისიის აპარატის წევრი-ირაკლი თოფურია.

დღის წესრიგი:

ქ. ზუგდიდში, დემურის ქ. N1-ში მდებარე შენობის (საკ.კოდები: N43.31.42.192.01.502; N43.31.42.192.01.507; N43.31.42.192.01.509; N43.31.42.192.504) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე კონკურსში (N1483) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შედეგების განხილვა.

2. კონკურსში (N1483) მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

საკონკურსო კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ საკონკურსო კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში (N1483) თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა 4 (ოთხი) კონკურსანტი:

1. შპს „ბ.დ ჯგუფი“;
2. შპს „არქსერვისი +“;
3. შპს „საქბინრემპროექტი“
4. შპს „Live desing“

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N2, 05.03.2015) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებაგანსახილველად გადაეცა სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს, მის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო დოკუმენტაციამო გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად.

კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების ღირებულებება შეადგენს:

1. შპს „ბ.დ.ჯგუფი“ – 18 000.00 ლარი;
2. შპს „არქსერვისი +“ – 15 400.00 ლარი;
3. შპს „საქბინრემპროექტი“- 24 000.00 ლარი;
4. შპს „Live desing“ – 18 750.00.

საკონკურსო კომისიამ განიხილა:

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, მათ მიერ წარმოდგენილ კონცეფციებზე მოხსენება გააკეთა სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა ნინო მენტეშაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სამმართველომ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი კონცეფციები და დადგინდა:

1. შპს „არქსერვისი +“ -ის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს.
2. შპს „ბ.დ.-ჯგუფი“-ს მიერ წარმოდგენილია კონცეფცია, შენობის ყველა სართულზე ბინების განლაგებით (46 ბინა), შესაბამისი ზომებისა და ფართების დატანით. განმარტებით ბარათში არაფერია ნათქვამი კონსტრუქციების კვლევებზე (რაც ჩვენ ტექნიკურ დავალებაშია მოთხოვნილი);
3. შპს „საქბინრემპროექტი“-ს მიერ წარმოდგენილია კონცეფცია, შენობის ყველა სართულზე ბინების განლაგებით (59 ბინა) დამაკმაყოფილებელია, ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე. განმარტებით ბარათში დეტალურად აღწერილია თუ რა კონსტრუქციული ელემენტების კვლევებს ჩატარებენ შენობის ტექნიკური მდგრადობის შესაფასებლად(რაც ჩვენ ტექნიკურ დავალებაშია მოთხოვნილი), ასევე რა მასალა და საშუალებები იქნება გამოყენებული რეაბილიტაციისას (ტიხრები, სახურავი);
4. შპს „Live desing“-ის მიერ წარმოდგენილია კონცეფცია, შენობის ყველა სართულზე ბინების განლაგებით(51 ბინა), განმარტებით ბარათში არაფერია ნათქვამი კონსტრუქციების კვლევებზე (რაც ჩვენ ტექნიკურ დავალებაშია მოთხოვნილი);

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია უპირატესობა მიენიჭოს შპს „საქბინრემპროექტი“-ს მიერ წარმოდგენილ კონცეფციას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს და შეაფასეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შემოთავაზებული ფასისა და წარმოდგენილი კონცეფციების გათვალისწინებით.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. შპს „საქბინრემპროექტი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. კონკურსში (N1483) გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „საქბინრემპროექტი“-ს საკონკურსო წინადადება.

2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს:

2.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

2.2. გამარჯვებულ კონკურსანტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება.

საკონკურსო კომისიის თავჯდომარე

გრიგოლ გიორგაძე



საკონკურსო კომისიის წევრები:

შოთა რეხვიაშვილი



გვანცა შენგელია



გოგი ფაცაცია

ბესარიონ ბუჩუკური



ირაკლი დიხამინჯია




კახაბერ პეტრიაშვილი



კახაბერ ჩხარტიშვილი



მურად აბლოთაძე



საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

ირაკლი თოფურია


გიორგი კველიშვილი



ნინო მენტეშაშვილი



ნოდარ ყოჩიშვილი



მაიკო მიქაია

